„დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #45-ში მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1150.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.116), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #24-ში მდებარე 27629.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(რაგბის სტანდარტული მოედანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.268) და დაბა ჩოხატაურში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 612.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.22.271) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი"-ს (ს/კ - 441995995) საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსით" გათვალისწინებული სარგებლობის უფლების ფორმით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადაცემის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ასევე შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით

დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე „გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს."